# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 352

“6” აგვისტო 2021 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილი №28-ში (საკადასტრო კოდი: №01.18.12.010.007.01.040) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 61-ემუხლისმე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის $118^1$ მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტისსაკრებულომდაადგინა:

1.მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას “ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილი №28-ში (საკადასტრო კოდი: №01.18.12.010.007.01.040) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 28 ივლისის №21.1037.1087 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქთბილისში, რუსთავის გზატკეცილი №28, მდებარე 54.22 კვ.მ. ფართის ბინა №40-ის (საკადასტრო კოდი: №01.18.12.010.007.01.040), პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურფასად - 1 (ერთ) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე გოჩა ზეინკლიშვილისთვის (პ/ნ. 38001003301) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე